ცნობის ფურცელი

№ 2587 ხუთშაბათი, 19 აგვისტო 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2587

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში [illegible]ანქის [illegible]იდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდროოდ გარდაცვალებულის ბათუმის გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფის

ალიოშა (ალექსანდრე) ზურაბის ძის ნაკაიძის

ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქმნება [illegible] იოანე ნათლის მცემლის ეკლესიაში შაბათს, 21 აგვისტოს.

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და პატივისმცემელთ მამა, მილიციის პრაპორშჩიკი აზ. **ზურაბ ალექსანდრეს ძე ნაკაიძე**, დები: **მაკრინე, ნინო, ფატი, ელენე და ეკატერინე** (1—278—1)

ფოთის საბუხჰალტერო კურსები

(წელიწადი მეხუთე)

სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიას მარტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიების და სხვათა ამ გვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი ქ. **გიგინეიშვილი.**

მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—6.—17)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. **დიასამიძე.**—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. [illegible] კანისა 11—12 საათამდე.

[illegible] **მუშლინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. **ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9—10 ს.

[illegible] **ხოზოლდევსკი.**—ხირურგია და ორტო. [illegible]: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. [illegible] საათამდე.

[illegible] ა. **ზეიერი**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 [illegible] ყოველ დღე.

[illegible] **ე. ა. იოსელიანი.**—ქალისა და სა- [illegible] სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

დ. გ. მოწინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. ([illegible] წამლობა ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 11—12 საათამდე.

[illegible].—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

[illegible] **ხოზოლდევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია. [illegible]შაბათ. და [illegible]შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და [illegible]ერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით, კრავატები სამი მანეთიდახუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს **თვალით ავადმყოფებს** ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

გადავიდა ბარონის ქუჩაზე № 18, მესხიშვილის ლიტოგრაფიის ზემოდ. იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. (0—3)

ქუთაისის ქალთა პროგიმნაზიის

(სამინისტროსი) მთავრობა აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, პირველ და მეორე კლასებში დაიწყება 1904 წლის 26 აგვისტოს. (3—6.—3)

ქუთაისში

თ. გ. მაჭავარიანის კერძო საქალებო

პროგიმნაზიაში

მისაღები ეგზამენები დაიწყება 26 აგვისტოს. სასწავლებელი იმყოფება ტფილისის ქ. თ. ნიჟარაძის სახლში. (4—35გ6—4)

სამეურნეო სკოლაში,

დაარსებულს 4 სექტემბერს 1883 წელს, **სოფელ წინამძღვარიანთ კარში**, დუშეთის მაზრაში, ტფილისის გუბერნიაში, პირველ სექტემბერს ამა წელს იქნებიან მიღებულნი, გამოცდით, პირველ სპეციალურ კლასში, მოსწავლენი, ჯან-მრთელნი, 13—15 წლოვანი, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნობისა. სპეციალურ კლასებში სამეურნეო სკოლისა სწავლა და ვარჯიშობა სამი წელია: ორ წელიწადს მოსწავლენი შეისწავლიან სამეურნეო სწავლას თეორეტიკულად და ვარჯიშობით, მესამე წელს მარტო-მარტო ვარჯიშობით იმ დარგს სამეურნეო ცოდნისას, რომელსაც თვით მოსწავლენი ამოირჩევენ. (3—2)

ქუთაისის

ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მან მიიღო **ს. ზ. თოფურიას საავადმყოფო** ამბულატორიით, რომელიც დაიწყებს მოქმედებას 7 აგვისტოდან ამა 1904 წ. იმავე პირობებით, რა პირობებითაც იგი მოქმედებდა ს. ზ. თოფურიას სიცოცხლეში. საავადმყოფო და ამბულატორია მოთავსებული იქნება განსვენებულ თოფურიას სახლში. (10—6)

უმაღლესი მანიფესტი

(გაგრძელება.—იხ. „ცნო. ფურც“. № 2576).

III. ეპატიოთ ჯერ გამოუანგარიშებელი ან შეუვსებელი მემკვიდრეს დაბადების დღემდე: 1. ყოველ გვარი ჯარიმა, რომელიც ხაზინას ერგება პირდაპირ გადასახადთა დროზე შეუტანლობის გამო (კანონ. კრებ. მე-V ტომი, მუხ, I), გარდა იმ გადასახადებისა, რომელიც აღნიშნულია ამა მე-III მუხლის მე-2 პუნქტში. 2. სამრეწველო გადასახადის წესების დარღვევისათვის მისაჯულ ჯარიმიდან ეპატიოსთ 600 მან., ხოლო თუ ჯარიმა 600 მან. აღემატება, საერთო ჯამს 600 მან. მოაკლდეს. 3. ეპატიოს ჯარიმა თუ იგი 600 მან. არ აღემატება, სამთო ქარხნებისა და სამთო სამრეწველო საქმეების პატრონთ, რომელიც იმათ მიესაჯა მემკვიდრეს დაბადების დღემდე სამრეწველო წესდების 153—155 მუხლების დარღვევისათვის; ხოლო თუ ჯარიმა აღნიშნულ ნორმას აღემატება, საერთო ჯამს 600 მან. მოაკლდეს. 4. ეპატიოთ ჯარიმა მემკვიდრეს დაბადების დღემდე საღერბო წესდების დარღვევისათვის მისაჯული, არა უმეტეს 600 მანეთისა; თუ ჯარიმა მეტი იქნა, 600 მან. გამოეკლოს; აგრეთვე ეპატიოს მთელი ჯარიმა იმათ, ვინც დაარღვია საღერბო წესდება, 1900 წლის 10 ივნისის საღერბო წესდების შემოღებამდე. 5. ეპატიოთ ჯარიმა, რომელიც ერგება ხაზინას საღერბო წესდების 166 და 168 მუხლების ძალით (ტომი მე-V, ბაჟის წესდება, 1903 წ. გამოც.). 6. გამორიცხოს ანგარიშებიდან სხვა-და-სხვა დაწესებულებებზე და პირებზე ნაანგარიშევი ჯარიმა იმ შემწეობის უდროოდ გადახდისათვის, რომელიც სახელმწიფო ხაზინას ერგებოდა 1900 წ. 1 იანვრამდე. 7. ეპატიოს კერძო სამთო მრეწველთ მათზე ნაანგარიშევი: ა) ჯარიმა სადესიატინო და ამოღებულ მადნის გადასახადის დროზე შეუტანლობის გამო; ბ) ჯარიმა სამთო წესდების დარღვევას გამო. 8. ეპატიოსთ ჯარიმა სადესიატინო გადასახადის შეუტანლობის გამო ოქროს მრეწველთ, როგორც სახაზინო მიწებზე, ისე ჩვენის კაბინეტის ალტაისმ და ნერჩინსკის ოლქებში; 9. ეპატიოთ ჯარიმა არა უმეტეს 600 მან. იმათ, ვისაც იგი მიესაჯა კასპიის ზღვაში და ამიერ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის წყლებში თევზაობის წესების დარღვევისათვის; კასპიის ზღვის მეთევზეთ—1903 წ. 1 იანვრამდე შეგროვილი ჯარიმა, ხოლო ამიერ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის მეთევზეთ—1904 წ. 1 იანვრამდე შეგროვილი ჯარიმა, 10. ეპატიოთ ჯარიმა დადგენილი საჩივრების უწესოდ დაწყებისათვის და აგრედვე ნახევარი იმ ჯარიმისა, რომელიც ხაზინის სასარგებლოდ გადაიდება ხოლმე უსამართლო აპელაციის გამო. 11. ეპატიოთ ჯარიმა იმ ებრაელთა ოჯახებს, რომელთაც უკანონოდ „რვიდან აიცილეს სამხედრო ბეგარა; ჯარიმა, დანიშნული მემკვიდრის დაბადებამდე 5 და მეტის წლის წინად, თანახმად სამხედრო ბეგრის წესდების 395 მუხლისა; ეპატიოთ მთელი ჯარიმა იმათ, ვისაც იგი მიესაჯა 5 წლის წინად, ხოლო ვისაც მიესაჯა უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში, იმათ ეპატიოთ არა უმეტეს 300 მანათისა.

IV. ეპატიოთ გაუწერელ გადასახადის და მაგარ სასმელების დარჩენილი ფული (ნედოიმკები), გარდა საღერბოსი და სხვა-და-სხვა ბაჟებისა, რომელიც არ არის აღნიშნული ამ მანიფესტის მეორე და მესამე მუხლებში; ეპატიოთ აგრეთვე ნედოიმკები ტუსაღების შენახვისა და გაგზავნის ხარჯისა, რომელიც არ გადახდილა ტახტის მემკვიდრის დაბადებამდე და ხუთ თუმანს არ აღემატება; თუ დარჩენილი ფული (ნედოიმკა) დიდ ჯამს შეადგენს, ხუთი თუმანი გამოეკლოს.

V. მე-II, მე-III და მე-IV მუხლებში აღნიშნული შეღავათი არ ეხება:

ა) იმ თანხებს, რომელიც თუმცა მთავრობას არ ეკუთვნის, მაგრამ მთავრობის განკარგულებაში-კია და რომელსაც სპეციალური დანიშნულება აქვს, გარდა მე-II მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნულ სანავთსადგურო გადასახადის თანხასა. ბ) იმ თანხებს, რომელნიც სახაზინო იჯარებისა და საქმეების დროს მოიჯარადრეებს ერთმევათ. გ) იმ ფულს, რომელიც პატენტების აღებისა, სააქციზო და სადამოჟნო გადასახადების გასტუმრების დროს დარჩენილა. დ) იმ თავნ თანხებს, რომელიც ხაზინას ერგება, როგორც შემწეობა, მაგრამ კი არ მიუღია. ე) იმ დარჩენილ ფულს სამესამედო ჯამაგირისას, რომელიც სამსახურში მყოფთა აქვთ.

VI. ეპატიოთ 1904 წლის პირველ იანვრამდე შემდგარი ნედოიმკები იმათ, ვისაც წინ და წინ პენსია წაუღია ხაზინიდან, აგრეთვე ვისაც ჯამაგირი და პენსია წაუღია ალტაისა და ნერჩინსკის ოლქების საქარხნო თანხებიდან; ეპატიოთ ამავე ხნის განმავლობაში შემდგარი ნედოიმკები იმათ, ვინც დამნაშავეა ასეთ პენსიებისა და ჯამაგირების გაცემისთვის, თუ ესენი პასუხის გებაში არ არიან მიცემულნი და არა ჰბრალდებათ მათ ანგარებით ან სხვა უკანონო განზრახვით ზარალის მოტანა.

VII. აღარ ჩაითვალოს ანგარიშში ზარალი, რომელიც ჩვენის მემკვიდრე [illegible] დაბადებამდე შესდგა სამსახურს გარეშე მყოფ სალდათებისა, იმათ ცოლებისა და ქვრივებისათვის ერთდროულ და მუდმივ პენსიების უწესოდ დანიშვნისა და მიცემისა გამო, აგრეთვე იმპერატორ ნიკოლოზ I-ის დროს სამსახურისათვის 5 მანეთიან თვიურ პენსიების უწესოდ დანიშვნისა ან მი

VIII. 1) ეპატიოთ სხვა-და-სხვა პირთ, საზოგადოებებს და დაწესებულებებს ჩვენის ტახტის მემკვიდრის დაბადებამდე არ შეკრებილი ნედოიმკები, რომელიც შესდგა ავადმყოფთა მკურნალობისათვის სახაზინო, სამეფო კარის უწყებისა და ალტაიისა და ნერჩინსკის ოლქების საავადმყოფოებსა, ლაზარეთებსა, სამკურნალოებსა და ქსენონებში, აგრეთვე დედოფალ მარიამის დაწესებულების უწყების დაწესებულებებში. 2) აღარ ჩაითვალოს ანგარიშში ის თანხები, რომელიც კონსულებმა მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებამდე დახარჯეს რუსის მეზღვაურთა მკურნალობასა და სამშობლოში დაბრუნებაზე და რომელიც ნედოიმკებად ითვლება ან უნდა ჩაეთვალოს მეზღვაურებს ან გემის პატრონთ.

IX. 1) აღარ უნდა გამოერთოთ და ანგარიშიდანაც გამორიცხულ უნდა იქნას: ა) ის ფული, რომელიც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებამდე ხაზინაში უნდა შეტანილიყო ან სახაზინო სასწავლებლების სპეციალურ თანხას უნდა მიეღო ამ სასწავლებლებში სწავლისათვის და სახელმწიფო სადგომით სარგებლობისათვის. ბ) მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე შემდგარი ნედოიმკები იმათზე, რომელთაც სასწავლებლებში სახელმწიფო ხარჯით სწავლა მიუღიათ და, ამ ფულის გასტუმრების ნაცვლად, დანიშნული ვადა უნდა ემსახურნათ, მაგრამ არ უმსახურნიათ. გ) მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე შემდგარი და არ გამორთმეული ფული სწავლისა და აღზრდისა იმ სასწავლებლებში, რომელნიც დედოფალ მარიამის უწყებას ექვემდებარებიან. დ) ის დარჩენილი ფული, რომელიც ალტაისა და ნერჩინის ოლქების მოსამსახურეებზე ითვლება შვილების სწავლისა და აღზრდისათვის ადგილობრივ სასწავლებლებში. ე) განთავისუფლებულ იქნენ 20 მანეთის გადახდისაგან, თუ სიღარიბის მოწმობას წარადგენენ, ისინი ვინც უნივერსიტეტებში სწავლა დაამთავრეს და გამოსაცდელ კომისიებში 1905 წლის 31 დეკემბრამდე ეგზამენს დაიჭერენ.

(შემდეგი იქნება)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 აგვისტო

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 16 აგვისტოს: „16 აგვისტოს, ნაშუადღევს, ვანბატაის სამხრეთით მდებარე სიმაღლე[illegible]ან (ეს ადგილი ლიაოიანიდან 12 ვერსის [illegible] ძალზე მდებარეობს, სამხრეთ-აღმოსავლეთით), იაპონელებმა ზარბაზნების სროლა დაუწყეს ჩვენ პოზიციებს. ისროდნენ ყუმბარებს საღამოს 7 საათამდის. ჩვენის სამხრეთის ჯარის მარჯვენა ფრთეზე მოქმედებდა ცხენოსანთა რაზმი, რომელმაც 15 აგვისტოს შეაჩერა სალაშქროდ წამოსული რაზმი იაპონელებისა. ამ რაზმს უნდოდა ჩვენის მარჯვენა ფრთესთვის მოევლო. ჩვენი ცხენოსანი ჯარი იდგა მეტად უხეირო ადგილას, სადაც ვიწრო და საფლობი გზებია, მჭიდროდ დასახლებული ქუჩები და იმდენად მაღალი გაოლიანი, რომ ცხენოსანი კაცი არა სჩანს. 11 აგვისტოს აღმოვაჩინეთ, რომ მდინარე შახეს ხეობაში, სიდანტიასთან, რკინის გზის დასავლეთით, დიდი ბანაკებია იაპონელებისა. აღმოვაჩინეთ აგრედვე, რომ მტრის რაზმები შახეს ხეობიდან ჩრდილოეთით შანმანტუნისკენ მიდიოდნენ. ამ დღეებში დაღესტნის პოლკის ნახევარ სოტნამ, ესაულის კონიაშვილის უფ[illegible]სობით, ბენსიხესა და იან[illegible] ღიაროებს შუა, გზაზე, გაჰფანტ[illegible] კარგად შეიარაღებული [illegible] 150 კაცისაგან შ[illegible] ნამ მ[illegible]

კაცი და ტყვედ წამოიყვანა 4 კაცი. ხუნხუზების გაფანტვით აღდგენილ იქნა მშვიდობიანობა ამ შფოთიან ადგილებში".

გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 17 აგვისტოს: „16 აგვისტოს, ღამე, იაპონელებმა ჩვენის პოზიციების წინაღმდეგ ყველგან დიდ ძალი ზარბაზნები დადგეს და სროლა ასტეხეს; ამავე დროს დაიწყეს იერიში ჩვენის პოზიციებისა ზეც ლიაოიანთან. დილის ხუთ საათიდან მეტად ცხარე საარტილერიო ბრძოლაა. ცხრა საათზე გამოირკვა, რომ იაპონელების მთავარმა ჯარმა ჩვენის ჯარის შუაგულის წინაღმდეგ გამოილაშქრა. შრაპნელის ყუმბარებისაგან დიდი ზარალი მოუვიდათ ჩვენის ჯარის ზოგიერთ ნაწილებს. მოკლულ იქმნა აღმოსავლეთ ციმბირის მე-6 ბრიგადის ბატარეის უფროსი პოდპოლკოვნიკი პოკატილო. ჩვენის ჯარის შუაგულის წინაღმდეგ იაპონელები მეტად მხნედ მოდიან და ამ ჟამად, დილის 9 საათზე, სულ დაუახლოვდნენ ჩვენ მოწინავე რაზმებს".

18 აგვისტო

ლიაოიანი. 17 აგვისტო („რეიტ. სააგ."). დღეს, დილის 5 საათზე, სამხრეთის მხრიდან ისმოდა თოფების სროლის ხმა; შემდეგ ასტყდა ზარბაზნების სროლა, რომელიც ჯერაც არ შეწყვეტილა. საღამოთი იაპონელები მივიდნენ იმ ადგილას, რომელიც მდებარეობს რკინის გზის სადგურის დასავლეთით, 5 მილის მანძილზე, მაგრამ გაფანტულ იქმნენ. ჰფიქრობენ, რომ უკვე დაიწყო ის დიდი ბრძოლა, რომელსაც დღეს დილით მოელოდნენ.

რომი. აქაურმა სამხედრო ხელმძღვანელმა წრეებმა მიიღეს ტოკიოდან საიდუმლო ცნობა, რომ ყველა იერიში იაპონელებისა პორტ-არტურზე უკუგდებულ იქნა დიდის ზარალით. იაპონელებმა ვერც ერთი თვალსაჩინო სიმაგრე ვერ აიღეს; იმათი ზარალი იმდენად დიდია, რომ ჯარის უფროსნი ვერა ჰბედავენ გამოქვეყნებასა.

კრონშტადტი. 17 აგვისტოს ესკადრა ზღვიდან დაბრუნდა.

ლიაოიანი. 17 აგვისტოს, დილის 4 საათზე, დაიწყო დიდი ბრძოლა. ზარბაზნების ისეთი სროლაა, რომ ახლო-მახლო მდებარე გორები ცეცხლ-მფრქვეველ მთებსა ჰგვანან. იაპონელებმა იერიში დაიწყეს ლიაოიანის აღმოსავლეთით, მდინარე ტაიძიხეს გაყოლებაზე, მაგრამ მოგერებულ იქმნენ. ამ ჟამად მეტად ცხარე ბრძოლა განსაკუთრებით ლიაოიანის სამხრეთ-დასავლეთისკენაა.

ტოკიო. ანპინის ბრძოლაში იაპონელების მხრივ მოკლული და დაჭრილი აღმოჩნდა 2 ათასი კაცი. რუსების ზარალი მეტად დიდია.

ვიბორგი. რუსის კრეისერი „[illegible]" ზღვაში გავიდა.

ბერლინი. საეჭვოა, რომ პრინცმა ფრიდრიხ-ლეოპოლდმა პრუსიელმა შესძლოს წასვლა შორეულ აღმოსავლეთს რუსის ჯარის მთავარ-სადგომში. პრინცი ავად გახდა და ლოგინში წევს.

მუკდენი. როგორც ისმის, ლიაოიანთან დილიდანვე მწვავე ბრძოლაა. იაპონელებმა თავიანთი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს და რუსის ჯარის ფრთეებს ვერ შემოუარეს. ამბობენ, მტერმა ათი ზარბაზანი დაჰკარგაო. ჯერ არ ვიცით დაწვრილებითი ცნობები.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ლიაოიანიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს"-ს: აქ კარგი ამინდი დადგა; გზები თანდათან შრება; მალე დიდი ამბები მოხდება. („რ.").

„ლოკალ ანცაიგერ"-ის კორესპონდენტი სწერს: ლიაოიანში რუსები კარგ გუნებაზე არიან და გამარჯვების იმედი აქვთ. წვიმების დროს გენ. კუროპატკინმა ძლიერ გაამაგრა თავისი პოზიციები და ლიაოიანი მიუვალ ციხედ გადააქციაო. („მ. ვ.").

ფრანგულ გაზეთებს ატყობინებენ ტოკიოდან: გენ. კუროპატკინმა ლიაოიანთან ბევრი მკვიდრი სიმაგრე ააშენებინა და ლიაოიანიდან მუკდენამდე რკინის გზაც ძლიერ გაამაგრა.

„მატენ"-ს დეპეშით ატყობინებენ გენ. კუროკის მთავარ-სადგომიდან: რუსებმა ამ ბოლოს დროს უფრო ძლიერ გაამაგრეს ლიაოიანი და მუკდენისაკენ დახევას აღარ აპირობენ. ლიაოიანის აღმოსავლეთით ანპინიც ძლიერ გაამაგრესო. („რ. ლ.")

„დეილი ქრონიკლ"-ი იუწყება: მუკდენსა და ლიაოიანში ყოველ დღე განუწყვეტლივ დიდი ჯარი მოსდით რუსებს. სამხრეთ მანჯურიაში კარგი ამინდი დაიჭირა, გზები გაშრა, არტილერიას თავისუფლად შეუძლიან მოძრაობაო. („რ. ლ.").

13 აგვისტოს 2 დღის ბრძოლის შემდეგ, გენ. კუროკიმ ანპინი დაიჭირა, გენ. ოკუმ ანშანჩანი. 14 აგვისტოს იაპონელებმა ლიაოიანისაკენ გაილაშქრეს. („ნ. ო.").

ფრანგულ გაზეთებს ატყობინებენ დეპეშით, იაპონელებმა ლიაოიანის დასავლეთ მხარეს ძლიერი რაზმი გაგზავნეს; უნდათ, რომ რუსის ჯარის მარჯვენა ფრთას გვერდიდან მოუარონო.

იაპონელებმა ინკოუში 26 საალყე ზარბაზანი მოიტანეს და რკინის გზით ლიაოიანისაკენ გაგზავნეს. („ნ. დ.").

გენ. ლინევიჩმა ჩრდილოეთ კორეაში 10 ათასი ჯარის-კაცი გაგზავნა. ეს ჯარი ეხლა ისევ უკან გაბრუნდა, რადგან ვლადივოსტოკის ესკადრას დახმარების გაწევა აღარ შეუძლიან. („ნ. ო.").

„ინდეპანდანს ბელჟ"-ს ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ: იაპონელმა აფიცრებმა უარი თქვეს მეტ ჯამაგირსა და უკეთეს სმა-ჭამაზე. ამას იქით იაპონელ აფიცრებს ისეთივე ჯამაგირი და სასმელ-საჭმელი მიეცემათ, როგორიც უბრალო სალდათებს ეძლევათო. („ნ. დ.").

ტოკიოში ორის დიდის გემით არგენტინის რესპუბლიკაში ნაყიდი ცხენები მოიყვანეს. ამ ცხენებს სამხრეთ მანჯურიაში გაუგზავნიან იაპონიის კავალერიას. („რ. ლ.").

ჩინეთის პრესა ბეჯითად ურჩევს ნანკინის მეფის მოადგილეს, რაც სამხედრო გემები გვყავს, სულ შანჰაის გაჰგზავნე, რომ რუსეთმა ჩინეთის ნეიტრალიტეტი არ დაარღვიოსო. („რ. ლ.").

„დეილი ტელეგრაფ"-ი იუწყება: კაპის კოლონიის გუბერნატორმა ბძანება გასცა, რუსის კრეისერებს მთავრობის ნებადაურთველად ქვა-ნახშირი არ მისცეთ პორტებშიო. („მ. ვ.").

„რუს"-ს სარწმუნოდ შეუტყვია, რომ ის ხმა, ვითომ დიდი სახელმწიფოები იაპონიისა და რუსეთის შერიგებას ცდილობდნენ, ყოველ საფუძველსაა მოკლებულიო. („რ.").

პორტ-არტური. პორტ-არტურიდან დაბრუნებულ ამერიკელ საზღვაო აგენტს უთქვამს: რუსები მამაცად იცავენ პორტ-არტურს, სალდათები მეტად დაქანცულნი არიან, მაგრამ ფორტებსა და ზარბაზნებს თავს არ ანებებენ; ხშირად გული უღონდებათ, მაგრამ საავადმყოფოებში მაინც არ მიდიან. საავადმყოფოები უამისოდაც სავსეა დაჭრილებითა და სნეულებით. საჭმელი რამდენსამე თვეს ეყოფათ, თუ სალდათებს დაკლებულ პორციას მისცემენ. ამერიკელ აგენტს ძველ ქალაქში უცხოვრია; შინიდან გასულა თუ არა, მაშინვე ყუმბარა დასცემია იმის სადგომს და დაუნგრევია. („ნ. დ.).

პორტ-არტურიდან ერთი უცხოელი მასულა ჩიფუს და ულაპარაკნია: იაპონელებმა პორტ-არტურის გარშემო სიმაღლეებზე ყველგან ზარბაზნები დასდგეს; იაპონელები მეტად სწორედ უმიზნებენ ზარბაზანს. პორტ-არტურში საავადმყოფოები და ჩინელების სახლები დაჭრილებითაა სავსე; მოკლულთა გვამებს განსაკუთრებულ სახლებში ასვენებენ და მერე ქალაქ გარედ ასაფლავებენ. გვამებს კირს ასხავენ, რომ ავადმყოფობა არ გაჩნდეს. ორ დაზიანებულ ნაღმიან და 3 ჯავშნიან გემს რუსები პორტ-არტურის ნავთ-სადგურში აკეთებენ („ნ. დ.").

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ ლიაოიანიდან: პორტ-არტურის დოკები და რკინის გზის სადგური ძლიერაა დაზიანებული. ხმა დადის, ვითომ ჩინელი ინჟინერი ხო დახმარებას უწევთ იაპონელებსაო. ხო დიდ მონაწილეობას იღებდა პორტ-არტურის გამაგრებაში და აპრილის ნახევარში პორტ-არტურიდან გაიქცა. („ნ. დ.").

ფრანგულ გაზეთებს ატყობინებენ შანხაიდან: პორტ-არტურიდან გამოქცეული ჩინელები ამბობენ, იაპონელებმა პორტ-არტურთან რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი პოზიცია დაიჭირესო, ამ პოზიციებზე ზარბაზნებს დასდგამენ და ცუდ დღეს დააყენებენ ციხესაო. („რ. ლ.").

იაპონიის კონსულმა ჩიფუში სთქვა: სანამ პორტ-არტურს არ ავიღებთ, იქაურ ამბავს ოფიციალურად არ გამოვაცხადებთო. („რ. ლ.").

ამბობენ, იაპონელებმა ახალი დიდი საალყე ზარბაზნები გაგზავნეს პორტ-არტურისათვისაო. („ნ.").

ჩინელები ამბობენ, იაპონელების ყუმბარებმა ლიოტეშანის მთაზე (პორტ-არტურის სამხრეთით) საზღვაო კანდელი დაანგრიაო. პორტ-არტურის ნავთ-სადგურში დაზიანებულ კრეისერს აკეთებენო. („რ. ვ.").

ჩინელები ამბობენ, პორტ-არტურის ნავთ-სადგურში ერთ რუსის გემს 12-დიუმიანი ყუმბარა მოჰხვდა და ჩაძირაო. („ნ. დ.").

პორტ-არტურიდან მოსული ჩინელები ლაპარაკობენ, რუსებმა ჯავშნიან გემებიდან ზარბაზნები ხმელეთზე გადაიტანესო. („ნ. დ.").

ადმირალმა კატაოკამ ოფიციალურად მოახსენა იაპონიის საზღვაო სამინისტროს: 10 აგვისტოს რუსებმა ლიაოტეშანის მხრით ჩვენის ჯარის პოზიციებს ზარბაზანი დაუშინეს. კრეისერები „ნისინი" და „კასუგა" წავიდნენ, ლიაოტეშანს მიუახლოვდნენ და მალე გააჩუმეს მტრის არტილერიაო. („ნ. დ.").

იაპონიის საელჩომ გამოაცხადა: ნაღმიან გემ „ასაშიმა"-ს უფროსმა მოახსენა იაპონიის საზღვაო სამინისტროს: 10 აგვისტოს ჯავშნიანი გემი „სევასტოპოლი" პორტ-არტურიდან გამოვიდა, იაპონიის ჯარის პოზიციებს ზარბაზანი დაუშინა, მალე ნაღმს მოჰხვდა, მარჯვენა მხარეს გადაიხარა და შუბლი დაუშო. ბოლოს „სევასტოპოლი" ბუქსირით შეიყვანეს ნავთ-სადგურშიო. („რ. ს.").

ხმა დადის, 4 აგვისტოს ღამით რუსის 8 ნაღმიანი გემი პორტ-არტურიდან გავიდაო. („რ. ლ.").

კრეისერ „ნოვიკ"-ის ბრძოლა კრეისერ „ცუსიმა"-სთან, 7 აგვისტოს. კრეისერ „ჩიტოზე"-ს უფროსმა მოახსენა იაპონიის საზღვაო სამინისტროს: 7 აგვისტოს, გარიჟრაჟზე, კუნძულ რეიბუნიდან 20 მილის მანძილზე ვიყავ, ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს. აქედან ლაპერუზას სრუტის შუაგულისაკენ წაველ, მაგრამ რუსის კრეისერ „ნოვიკ"-ს მაინც ვერ შევხვდი, რადგან დიდი ქარიშხალი იყო, ზღვა ღელავდა და ნისლში არაფერი არა სჩანდა. დილის [illegible] ს. და 24 წ. „ჩიტოზე" სოიას კონცხს უახლოვდა და იქ კრეისერ „ცუსიმა"-ს შეჰხვდა. „ცუსიმა"-ს კუნძულ რეიბუნიდან 60 მილის მანძილზე „ნოვიკი" ენახა. შემდეგ ნაშუადღევის $4\frac{1}{2}$ საათზე კორსაკოვის პოსტთან ახლო „ცუსიმა"-ს კიდევ დაენახა „ნოვიკი", იერიში მიეტანა და რუსის კრეისერი ძლიერ დაეზიანებინა. 5 ს. 40 წ. „ნოვიკი" კორსაკოვის პოსტის ნავთსადგურში შესულიყო. რუსის კრეისერზე მეტად ხშირი ბოლი ამოვარდა, თურმე, ბრძოლის დროს „ცუსიმა"-საც ქვანახშირის საწყობი დაზიანებოდა, გვერდზე გადახრილიყო, ზღვაში გასულიყო იმ სიშორეზე, რომ მტრის ყუმბარა ვეღარ მოჰხვედროდა და თავის დაზიანებული გვერდი დროებით შეეკეთებინა. „ცუსიმა"-ს უფროსმა უმავთულო ტელეგრაფით შემატყობინა ბრძოლის ამბავი და მაშინვე კორსაკოვის პოსტისაკენ წაველ, მაგრამ დაღამდა თუ არა, კორსაკოვის პოსტს მოვშორდი და „ცუსიმა"-ს ვუბძანე, რომ „ნოვიკ"-სათვის ედარაჯნა. 8 აგვისტოს გათენების

ფელეტონი

წერილები გერმანიიდან

IV

კუნო ფიშერის იუბილეის გამო

ცნობილია ის ტრიული ფაქტი, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისამდე ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევდნენ ფილოსოფიის ისტორიას. წინანდელ ფილოსოფიურ სისტემათა რიგიანად შესწავლა, დიდ ფილოსოფოსების პიროვნების ნათლად დასურათება, ამა თუ იმ სისტემის ისტორიულ დროსთან დაპირდაპირება—ყველა ეს წინად ინტერესს მოკლებული იყო. საზოგადოდ, არავის არა სურდა კარგად გაეთვალისწინებინა, თუ როგორ აზროვნებდნენ წინად, თუ რა ფილოსოფიური მოძრაობა ასულდგმულებდა კრიტიკულად მოაზრე კაცობრიობას წარსულ დროს. ასეთი აპატია ისტორიისადმი კიდევ უფრო ბოლობდა ნიადაგს სკეპტიციზმის დროს. სკეპტიციზმის ერთი მთავარი ნიშნობლივი თვისება ძველ წარმოდგენების, ტრადიციულ ცოდნის [illegible] იგი ულმობელ კრიტიკის ქარცე[illegible] [illegible] ფილოსოფიურ აქსიომებს და ავტო[illegible] [illegible] წარსულიდან კაცობრიობის აზრთა [illegible] სხვა მეამბოხ[illegible] [illegible] უცხადებს [illegible]სებულ დოგმებს და ამიტომაც სკეპტიკი ძლიერ აღმაცერად უცქერის წარსულ მოძღვრებას, არა სჯერა წარსულ ცოდნაში ჭეშმარიტების ნამცეცები ჰქონოდეს. ადვილი გასაგებია, თუ ამ უარყოფის, ამ საერთო კრიტიკის დროს, როდესაც ძველ კერპების დანგრევის სურვილი მთელის ეპოქის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა, ფილოსოფიურ სისტემათა შესწავლასაც უკუაგდებდნენ. ასეთ დროს სრულიად არ იყო გასაკვირი უკვდავ ფილოსოფოსის შესანიშნავი სიტყვები: „მე არა მსურს ვიცოდე, არსებობდა თუ არა ჩემზე წინად ადამიანი". ცხადია, ასეთ დროს ფილოსოფიურ აზრის სრული ისტორია ვერ დაიწერებოდა, ასეთ დროს ძველ ცოდნისადმი სერიოზული ინტერესის აღძვრა ძნელი იყო

საბედნიეროდ, ეს სურათი მალე შეიცვალა: მე-19 საუკუნის დასაწყისში ჰეგელის მეოხებით სისტემატიურად დამტკიცებულ იქმნა ფილოსოფიის ისტორიის საჭიროება, მისი დიდი მნიშვნელობა თვით ფილოსოფიისათვის. მოაზრე კაცობრიობამ მხოლოდ ამ დროს გაიგო, თუ რა სამსახურის გაწევა შეუძლიან ფილოსოფიურ სისტემათა სისტემატიურად და დაწვრილებით შესწავლას. ჰეგელის [illegible] ხანამ ძლიერ აამაღლა ფილოსოფიის ისტორია. ჩვენ დროს, როდესაც ფილოსოფია ასე დიდ როლს თამაშობს მრავალფეროვან გონებრივ მოძრაობაში, განმარტება არ სჭირია იმ აზრს, რომ ფილოსოფიის ისტორიის ცოდნა ყოველ მომაკვდავისათვის აუცილებლად საჭიროა, ჩვენ დროს ის ერთი უმშვენიერესი დარგია თვით ფილოსოფიისა. სწორედ ამით აიხსნება ის საყურადღებო გარემოება, რომ ჩვენ დროს ნაკლებად ჰყავს შემოქმედებით ნიჭით დაჯილდოვებულნი ფილოსოფოსები, რომელნიც მთელ ეპოქას ჰქმნიან კაცობრიობის აზროვნებაში, მაგრამ სამაგიეროდ ბევრია შესანიშნავი ისტორიკოსი, რომელნიც დაწვრილებით იკვლევენ ძველ სისტემებს და მათ აჩვევენ მკითხველს ფილოსოფიურ კანონებულ მსჯელობას. ძველში ისინი არჩევენ ჭეშმარიტების ნაწვეტებს და ამ რიგად სცდილობენ მოგვცენ ფილოსოფიურ აზრის განვითარების მთელი სურათი. ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიის ისტორიას.

ჩვენ მით უფრო მეტ პატივს უნდა ვცემდეთ იმ მოხუცს, რომელმაც თითქმის პირველად დაამტკიცა ფილოსოფიის ისტორიის აუცილებლობა და რომელმაც თავის მრავალ ნაყოფიერის მოღვაწეობით მაგარი ნიადაგი დაუდვა მას, ეს მოხუცია ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის გამოჩენილი პროფესორი კუნო ფიშერი, რომლის 80 წლის იუბილეი დიდის ამბით იდღესასწაულა მთელმა განათლებულმა გერმანიამ 23 ივლისს. ვინც ცოტათი მაინც ადევნებს თვალყურს თანამედროვე გონებრივ ცხოვრებას, მისთვის უცნობი არ იქნება იმ მოღვაწის სახელი, რომლის კლასიკური ნაწარმოებნი მთელ ეპოქას შეადგენენ ფილოსოფიურ აზრის ისტორიაში...

კუნო ფიშერი დაიბადა შლეზიაში 23 ივლისს 1824 წელს. გიმნაზიის გათავების შემდეგ მიიღო უმაღლესი განათლება ჰალლეს უნივერსიტეტში, სადაც სპეციალურად სწავლობდა ფილოსოფიას, თეოლოგიასა და ისტორიას. დაიცვა თუ არა დოქტორის ხარისხის ეგზამენი, დაინიშნა ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორად ფილოსოფიურ ფაკულტეტზე, მაგრამ სამის წლის შემდეგ ბადენის საერო მინისტრის განკარგულებით სრულიად უმიზეზოდ აეკრძალა ლექციების კითხვა. საბედნიეროდ, მალე ისევ მისცეს ეს უფლება და 1855 წელს დაინიშნა იენაში პროფესორად, სადაც დაჰყო 1872 წ. ამ წლიდან-კი ისევ მიიწვიეს ძველ ჰეიდელბერგში ცელლერის ადგილას, სადაც დღემდე ფილოსოფიის კათედრა უჭირავს.

კუნო ფიშერმა ძლიერ ადრე მიიქცია საზოგადოების ყურადღება: იმისი პირველი ლექციებიც-კი იმდენად იზიდავდა ახალგაზრდობას, რომ მალე შეიქმნა სტუდენტთა უსაყვარლესი პროფესორად. მისმა დიდმა ნიჭმა თავისუფლად გაშალა ფრთები განსაკუთრებით იენაში: აქ ყოფნის დროს მან მოიხვეჭა დიდი სახელი, იგი შეიქნა ცნობილი როგორც ორიგინალური მწერალი—ფილოსოფოსი, ისე შესანიშნავი ლექტორი. იმნაირად გაიტაცა მან სტუდენტობა, რომ სამართლიანად ამბობდნენ, იენაში ფიხტეს შემდეგ ასეთი ენტუზიაზმი არა-

ანს „ჩიტოზე“ [illegible] კორსაკოვის პოსტი-კენ წავიდ[illegible] „ნ[illegible]ვიკი“ ნაპირს ახლო [illegible]. „ჩიტოზე“-მ დილის 6 ს. 25 წ. „ნოვიკ“-ს ზარბაზანი დაუშინა და 7 ს. 14 წამამდე ესროდა. ბოლოს „ჩიტოზე“ „ნოვიკ“-ს 2,500 მეტრის მანძილზე მიუახლოვდა და დაინახა, რომ რუსის კრეისერი [illegible]ჯვენა მხარეს გადაწოლილიყო, წყალში ძირულიყო და ძლიერ იყო დაზიანებული. „ცუსიმა“ ამ ჟამად შეკეთებულია [illegible] ბრძოლაც შეუძლიან. ამ ბრძოლის დროს [illegible]ნთვის არც ერთი კაცი არც მოუკლავთ, [illegible]ც დაუჭრიათ. („მ. ვ.“).

„ნოვიკ“-ზე 7 აგვისტოს 2 მატროსი მოუკლავთ და 1 აფიცერი და 16 მატროსი დაუჭრიათ.

„ნოვიკ“-ი პალუბა ჯავშნიანი კრეისერი [illegible]ყო, წყალ-წყვა 3,100 ტონა ჰქონდა, [illegible]თში [illegible] მილს გადიოდა. 6 ოთხ დიუ[illegible]ანი [illegible] ყალიბის ზარბაზანი და 5 სა[illegible]კი ჰქონდა და 334 მეზღვაური [illegible] („რ. ლ.“).

გენერალ ოკუს წერილი. რუსის კორესპონდენტები სწერენ, იაპონელი ჯარისკაცები უდიერად ექცევიან დაჭრილ რუსის [illegible]ლდათებსაო. გენ. ოკუს შემდეგი ოფიციალური წერილი დაუწერია ამის თაობაზე: [illegible]ნიის ჯარს აბრალებენ, ვითომ დაჭრილ [illegible]ებს ცუდად ექცეოდეს. ეს ბრალდება [illegible]ფერზე არაა დაფუძნებული და ნამდვილ [illegible]ქტებს ეწინააღმდეგება. რუსები განგებ [illegible]აბრალებენ უდიერობას იმ აზრით, რომ [illegible]თავიანთ საკუთარი უდიერობა და გულ[illegible]ობა დაფარონ. საქმე იმაშია, რომ 2 [illegible]ვნისს ბრძოლის დროს (ვაფანგოუსთან) [illegible]თონ რუსებმა გამოიჩინეს ბარბაროსობა და [illegible]ჭრილ და მოკლულ იაპონელ ჯარისკაცებს უდიერად მოექცნენ. ჩვენ-კი ერთ[illegible]ლაც არ მოვქცევივართ ცუდად რუსებს. [illegible]ველი ღონისძიება მივიღეთ, რომ და[illegible]რილ რუსებისათვის დახმარება გაგვეწია; [illegible]ერმა მათგანმა მადლობაც გადაგვიხადა [illegible]ულ-კრემლიანმა; მოკლულთა გვამები სულ [illegible]ავგროვეთ, ექიმებს გავასინჯეთ და სამარხ[illegible] მიწას მივაბარეთ. აი რამდენიმე მა[illegible]ლი რუსების ბარბაროსობისა. 3 ივლისს [illegible]პონელ ჯარის კაცს ჩანჩანს ახლო რუ[illegible]ებმა წრე შემოავლეს და ოცხივე მო[illegible]ლეს, მოკლულთა გვამები შტიკებით [illegible]ახვრიტეს, თვალები დასთხარეს და ტანი[illegible]ამოსი დახხადეს. 14 ივლისს თოფის სრო[illegible]ის დროს ეფრეიტორი კობაიაში მოჰკლეს; [illegible]მისი გვამი შემდეგში ვიპოვეთ და ვნახეთ, [illegible]ომ რუსებს საზარლად დაესახიჩრებინათ. [illegible]ვალერიის სალდათი იოტო, 15 მაისს, [illegible]ანგონგთან დაჭრილი, ცხენიდან გადმო[illegible]ვარდა და რომ მტერს ხელში არ ჩაჰვარდ[illegible]ოდა, ხმლით ყელი გამოიჭრა; ჯერ სული [illegible]რ დაელია, რომ ყაზახები მისცვივდნენ და [illegible]თავის სარქველი გაუტეხეს. („ნ.“).

ახალი ამბავი

◆ „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: „ბათუმისა და სოხუმის ოლქებში უფროსს **საფაბრიკო ინსპექტორის** მოვალეობის აღსრულება დაეკისროს ქუთაისის გუბერნიის უფროსს საფაბრიკო ინსპექტორს სახელწოდებით: „ბათუმის ოლქისა, ქუთაისის გუბერნიისა და სოხუმის ოლქის უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი“. ბათუმის საფაბრიკო-საქარხნო და სამთამადნო საქმეთა საკრებულოში ჟანდარმთა საგუბერნიო გამგეობის უფროსის მაგიერ წევრად იქნება ჟანდარმთა უფროსი აფიცერი კავკასიის მთავარ-მართებელის დანიშვნით. სოხუმის ოლქის იმ საფაბრიკო-საქარხნო საქმეების განხილვა, რომელიც საფაბრიკო-საქარხნო საკრებულოს ექვემდებარება, დაევალა ბათუმის საკრებულოს; ხსენებულ საქმეების გარჩევას უნდა დაესწროს სოხუმის ოლქის უფროსიც“.

◆ როგორც სოფელ დარჩელიდან (სამეგრელო) გვატყობინებენ, 14 აგვისტოს იქ ორჯელ **იძრა თურმე მიწა**, პირველად—დილის $11^{1}/_{2}$ საათზე, მეორედ—საღამოს 7 საათზე.

◆ **ჩაქვაში ჰფიქრობენ ჩაის მეორე ქარხნის გამართვას.** ერთი ქარხანა კარგა ხანია არსებობს, მაგრამ დღეს საქმეს ვეღარ ასდის.

◆ **ტფილისის პოლიცმეისტერი** კოვალევი დაბრუნდა ტფილისში და 17 აგვისტოს შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

◆ **ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორად** დაინიშნა ნოვოჩერკასკის გიმნაზიის ინსპექტორი ბ-ნი ვინოგრადოვი.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ აცნობა გუშინ ტფილისის გუბერნიის მაზრის ექიმებს, რომ [illegible] მზრუნველობის კავკასიის განყოფილებამ გადასწყვიტა გააფართოვოს **თვალის სამკურნალო.** ამისათვის მზრუნველობამ დაიქირავა კრილოვის ქუჩაზე ლიბერმანის სახლის ერთი ნაწილი. ცალკე ოთახები შეძლებულთათვის დღე ღამეში ეღირება 3 მან.; იმ ოთახებში დაწოლა, სადაც ოთხი-ხუთი ავადმყოფი იქნება ეღირება 1 მან. 50 კაპ., ხოლო საზოგადო დარბაზებში დაწოლა იმათვის, ვინც უფასო საწოლებს არ მოუცდის—50 კაპ. სამკურნალო განყოფილება ამასთან სწერს მაზრის ექიმებს, თუ შეგხვდეთ სოფლებში თვალით ავადმყოფნი, მოასწავლეთ ტფილისში ხსენებული სამკურნალოო.

◆ კავკასიის სამკურნალო საზოგადოების გამგეობამ სთხოვა გუშინ ქალაქის სასანიტარო კომისიას, დაუცალოს და მოუწყოს ვერაზე ქალაქის სკოლის ერთი დარბაზი, სადაც ექიმებმა **ხოლერის შესახებ** სახალხო ლექციების კითხვა უნდა დაიწყონ.

◆ ტფილისის ქალაქის სასანიტარო კომისიამ დაუგზავნა ქალაქის ბოქაულებს სია იმ ქუჩა-მოედნებისა, რომელიც დღეში **ორჯელ უნდა მოირწყოს** და დაავალა, პოლიციის მოხელეებმა თვალ-ყური ადევნონ, რომ მოიჯარადრეებმა რიგიანად შეასრულონ ქუჩების მორწყვის შესახებ ვალდებულებანი.

◆ გუშინ, 18 აგვისტოს, გუბერნატორის განკარგულებისამებრ, საგუბერნიო ტეხნიკოსებისა, პოლიცმეისტერისა და ბრანდმეისტრისაგან შემდგარმა კომისიამ **დაათვალიერა სათავად-აზნაურო თეატრი** იმის გამოსარკვევად, რამდენად უზრუნველ ყოფილია შენობა ცეცხლის გაჩენისა და სიმაგრის მხრით.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ **დასაფასებელი გადასახადები** შეაწერა მთავრობის დაწესებულებათა შენობებს. კავკასიის სამხედრო ოლქის საინჟინერო გამგეობის თხოვნით გუბერნატორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ, 1892 წელს გამოცემულ საქალაქო დებულების ძალით, დასაფასებელი გადასახადი მთავრობის ისეთს შენობებს უნდა შეეწეროს, რომელსაც რაიმე შემოსავალი აქვსო.

◆ მიხეილის ქუჩაზე, წოვიანოვის სახლი, სადაც სხვათა შორის მოთავსებულია ტფილისის სამაზრო სამხედრო საკრებულო, ისე დაძველებულიყო, რომ 16 აგვისტოს ამ სადგომის ჭერი ერთიანად ჩამოინგრა. საბედნიეროდ არავინ დაშავდა.

◆ „ცნ. ფურც.“-ის № 2583-ში, დაბეჭდილი იყო ახალი ამბავი ავჭალაში უთნელიძის ქალის დაჭრის შესახებ. სხვათა შორის იქ ნათქვამი იყო, რომ მანჯავიძემ ამ ქალის ხალიჩები მოიპარაო. როგორც გვარწმუნებენ, ეს უკანასკნელი ბრალდება სიმართლეს მოკლებულია: ხალიჩების მოპარვა უთნელიძისამ განზრახ დასწამა მანჯავიძეს, რათა შური ეძიაო. ყოველ შემთხვევაში, ამ საქმეს სასამართლო გამოარკვევს...

—

ამ №-თან ერთად ხელისმომწერთ ეგზავნებათ **სურათებიან დამატების № 246,** რომელშიაც მოთავსებულია: „მთვარის შუქი“, გიუ-დე-მოპასანისა, თარგმ. ოლბეჟასა; სურათები: დაშიცაოსთან ბრძოლა; დაღუპული და დაზიანებული გემები პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკის ესკადრებისა და სამი კარიკატურა.

რუსეთის ქრონიკა

◆ გაზ. „ტორგ. პრომიშლ.“-ის ცნობით, რუსეთს $^{1}/_{2}$ წლის განმავლობაში უკვე დაუხარჯავს ომის საჭიროებისათვის $257^{1}/_{2}$ მილიონი მანეთი. ომით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად ამერიდან სარგებლობენ გარეშე სესხიდან შემოსულ 200 მილიონითა და გამოცემულ კუპონებიდან—150 მილიონ მან. ამნაირად რუსეთმა უზრუნველ-ჰყო სამხედრო ხარჯი 16 თვის განმავლობაში, ე. ი. 770 მილიონი მანეთი.

◆ რუსეთის ზოგიერთ სავაჭრო ამხანაგობათ შეუტყვიათ ოფიციალურ წყაროებიდან, რომ ციმბირის რკინის გზა კიდევ დიდ ხანს მოუნდება ჯარის და სამხედრო მასალის გადაზიდვას და კერძო პირთაგან არ მიიღებს ციმბირში გასაგზავნ საქონელს.

◆ ადესის გრადონაჩალნიკმა სხვა-და-სხვა გუბერნიის გუბერნატორებს მიმართა თხოვნით, გამოაცხადონ ხალხის საყურადღებოდ, რომ ადესაში, ქესატობის გამო, ძლიერ შემცირდა სამუშაო და შიდა გუბერნიიდან მოსული მუშები ულუკმა-პუროდ რჩებიან.

◆ სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შეკრებილ ცნობებით, 103 თავისუფალი ადგილი ყოფილა ექიმებისა, არა მარტო განაპირა გუბერნიებში, არამედ შიდა გუბერნიებშიაც. ამის მიზეზი ისაა, რომ [illegible] ექიმი გაიგზავნა შორეულ აღმოსავლეთში.

◆ პეტერბურგის უმაღლესს საქალებო კურსებზე 1,209 ქალს გამოუცხადებია შესვლის სურვილი. ამათგან 500 ქალს სხვა-და-სხვა ჯილდოთი დაუსრულებია კურსი საშუალო სასწავლებლებში.

◆ ერთმა მუშამ შემდეგის თხოვნით მიმართა გაზ. „რუს“-ის რედაქციას: „თუ შესაძლებელია, გთხოვთ აღძრათ საკითხი პრესის საშუალებით ქარხნებში შვიდ-კლასიან სკოლების დაარსების შესახებ. გარდა იმისა, რომ ჩვენი შვილები ტეხნიკურ ცოდნას შეიძენენ სკოლებში (ამ ცოდნას მოკლებული მუშები სწორედ ბრმებსა ჰგვანან) ეს სკოლები აი კიდევ რისთვის არიან ჩვენთვის საჭირო: კანონით აკრძალულია ქარხნებში სამუშაოდ გზავნა იმ ბავშვებისა, რომელთაც 15 წლიწადი არ შესრულებით. ჩვენი შვილები თერთმეტ წლამდის ათავებენ პირველ-დაწყებით სკოლას და შემდეგ ჩვენ სწორედ არ ვიცით, რა მოუგვაროთ, რა ვუყოთ იმათ. შეძლება არა გვაქვს, რომ ჩვენის ხარჯით მივსცეთ განათლება. შეგირდებად სახელოსნოებში ვერ ვაძლევთ, რადგან პირადის გამოცდილებით ვიცით, რა სამძიმოა ეს შეგირდობა. ჩვენი ბავშვები სახლში რჩებიან, შეძენილ ცოდნას მალე ივიწყებენ, ქუჩის ბავშვებად გადაიქცევიან ხოლმე და საბოლოოდ ირყვნებიან.

◆ ადესის გაზეთები იუწყებიან, რომ კავკასიიდან ადესაში მისულ გემებს სინჯავენ საკარანტინო ნავთსადგურში მკურნალები და სანიტარები.

◆ საერო განათლების სამინისტრო იკვლევს საკითხს საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ. სახალხო სკოლების დირექტორებს განკარგულებით მიმართეს, მიაწოდონ სამინისტროს ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ბავშვია სკოლის გარეშე დარჩენილი და რამდენი სკოლის დაარსებაა საჭირო საყოველთაო სწავლების შემოღებისათვის. შეკრებილ ცნობებით, პეტერბურგის გუბერნიაში 14 ათასი ცხრა წლის ბავშვია სკოლის გარეშე დარჩენილი.

◆ მიწად-მოქმედების სამინისტროს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ რკინის გზებს დაევალოს ზარალის ზღვევა გადატანის დროს გაფუჭებულ სამეურნეო ნაწარმოებისა.

◆ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ცნობებით, ამ ბოლო დროს ძლიერ შემცირებულა რუსეთიდან საზღვარ-გარედ სხვა-და-სხვა საქონლის გატანა.

ფოთის მუშათა არტელი

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ფოთის ნავთ-სადგურის მუშათა ერთის ნაწილის მეცადინეობით შესდგა მუშათა არტელი. არტელმა ერთს თვეზე მეტია მიიღო ქუთაისის გუბერნატორის მიერ დამტკიცებული წესდება, მაგრამ იმდენი ხელის შემშლელი გარემოება გადაეღობა, რომ საეჭვო გახდა არტელის მოქმედების დაწყება ახლო

გამოუწვევიათ. თუ რამდენად მიიპყრო ახალგაზრდა ფიშერმა საზოგადოების ყურადღება, ეს ნათლად სჩანს იმ გარემოებიდანაც, რომ იგი [illegible] მიიწვიეს იმ უნივერსიტეტში, სადაც [illegible] „მაღალ მოსაზრებათა გამო“ ლექციების კითხვა-კა აუკრძალეს.. კუნო ფიშერის პირველი სერიოზული შრომა—დიოტიმა, შვენიერების იდეა—ეხება ესტეტიკის მთავარ საკითხებს და სწყვეტს ამ საკითხებს ჰეგელის [illegible] თეორიის თანახმად, რადგან ფიშერი, საზოგადოდ ჰეგელის ფილოსოფიის მიმდევარი იყო და არის. საზოგადოდ მას ძლიერ აინტერესებდა ესტეტიური საკითხები და ხელოვნება, რასაც ნათლად მოწმობს იმისი შესანიშნავი მონოგრაფიები გეტეს, შილლერის და შექსპირის შესახებ. ამ ნაწერებში ფიშერმა გამოიჩინა იშვიათი ნიჭი სალიტერატურო კრიტიკოსისა, რომლის [illegible] თვისება პოეტურ ნაწარმოებთა [illegible] მოტივების დაფასება-დაკვირვებაში გამოიხატა. ფილოსოფიურ დისციპლინათა შორის მას განსაკუთრებით იტაცებს მეტაფიზიკა და ლოგიკა. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ფიშერს არ შეუქმნია შესანიშნავი რამ, იგი ვერ ჩაითვლება ორიგინალურ ფილოსოფოსად, არ შეუქმნია საკუთარი ღრმა სისტემა და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან მას არა აქვს ისეთი დიდი შემოქმედებითი ნიჭი, როგორც მის სხვა შესანიშნავ თანამემამულეებს, რომელთაც მთელი რევოლიუცია მოახდინეს გონებრივ ცხოვრებაში. და თუ კუნო ფიშერის სახელი უკვდავი იქნება, ეს იმიტომ, რომ მან, როგორც ზემოდაა ნათქვამი, მტკიცე ნიადაგი მოუმზადა ფილოსოფიის ერთ ახალს და შვენიერ დარგს, სახელდობრ ფილოსოფიის ისტორიას.

ფიშერი შესანიშნავია როგორც ისტორიკოსი. იმისი დიდი ნიჭი უმთავრესად ამ დარგში ნავარდობს თავისუფლად, იმისი დიდი პოეტიურ-ანალიტიური ძალა მხოლოდ აქ იჩენს სავსებით თავს. შესანიშნავი შვიდ ტომიანი მონოგრაფიები—Die Peschichte der neuen Philosophie (ახალ ფილოსოფიის ისტორია) ფიშერის საუკეთესო ნაწარმოებს შეადგენს. როგორც ისტორიკოსს, მას არა ჰყავს ტოლი. ვისაც სურს ახალ ფილოსოფოსების—ბეკონის, დეკარტის, ლეიბნიცის, სპინოზას, კანტის, ფიხტეს, შელლინგის, ჰეგელის და შოპენჰაუერის—სისტემათა შესწავლა, ის კუნო ფიშერის კლასიკურ თხზულებებს ვერ აუვლის. ფიშერმა მიაქცია უმთავრესი ყურადღება დიდ ფილოსოფოსთა პიროვნების ნათლად დასურათებას; ფილოსოფოსთა პიროვნების და მათ მიერ შექმნილ უკვდავ მოძღვრებათა შორის არსებით დამოკიდებულება ჰპოვა და მით სამუდამოდ დაამტკიცა, რომ დიდ ფილოსოფოსთა პიროვნება იმდენად საინტერესოა, რამდენადაც მათი სისტემა, რომ მოძღვრების შეგნება შეუძლებელია, თუ ბრძენის პიროვნება [illegible] არ არის შესწავლული. ამ აზრს საუცხოვოდ ამტკიცებენ იმისი შესანიშნავი ნაწარმოებნი. ესევე ნაწარმოებნი საუცხოვო ენით და საკვირველის სიცხოველით არიან დაწერილნი: ძნელ გასაგებ განყენებულ მსჯელობას ფიშერი უბრალო მკითხველთათვისაც გასაგებად ჰქმნის. ამ ღირსებებს, რომლითაც შემკულია კუნო ფიშერის თხზულებანი, მშვენივრად ახასიათებს ცნობილ ვინდელბანდის შემდეგი სიტყვები: „კუნო ფიშერის სამაგალითო სამეცნიერო მოღვაწეობისათვის საჭირო იყო ძნელ შესაერთებელ თვისებათა შეერთება, სახელდობრ შეერთდა: საკვირველი დაკვირვება ფილოსოფიურ სისტემების ნაზ-მოტივებისა, პოეტიური შემოქმედება, ადვილად გასაგები ენა და წარმოდგენათა სიმშვენიერე“.

განსაკუთრებით საყურადღებოა კუნო ფიშერის მონოგრაფია კანტის შესახებ. ეს შრომა ყველასაგან მიჩნეულია როგორც საუკეთესო და [illegible] კანტის ღრმა სისტემის გასაგებად. ამიტომაც სამართლიანად შენიშნავს კუნო ფიშერის ერთი ბიოგრაფი: „ამნაირად კანტს ეძახიან „კენიგსბერგელ ფილოსოფოსს“, რადგან კანტი იქ დაიბადა და გაიზარდა. მაგრამ უფრო სამართლიანი იქმნება, თუ იმას [illegible] ჰეიდელბერგელს“ დაარქმევენ, რადგან ჰეიდელბერგელ პროფესსორის კუნო ფიშერის წყალობით გავიგეთ კანტის ძნელად გასაგები სისტემა, რადგან მხოლოდ მან დაგვანახვა კენიგსბერგელ ფილოსოფოსის დიდი მნიშვნელობა მოაზრე კაცობრიობისათვის.

ასეთია კუნო ფიშერის მნიშვნელობა ფილოსოფიურ სისტემათა განმარტებისა და პოპულარიზაციის საქმეში. ვიმეორებთ, კუნო ფიშერმა თავის შესანიშნავ მონოგრაფიებით ნიადაგი დაუდვა ახალ მეცნიერებას—ფილოსოფიის ისტორიას; მან პრაქტიკულად განახორციელა ის, რის შესახებ ოცნებობდა ჰეგელი, ე. ი. შექმნა უკვდავ ფილოსოფიურ სისტემათა შესანიშნავი ისტორია. ეს კი საკმარისია იმისათვის, რომ მისი სახელი ფილოსოფიურ აზრის ისტორიაში უკვდავ დარჩეს. ამიტომაც კუნო ფიშერის [illegible] მთელი განათლებულ გერმანიის [illegible] თუ დღეს [illegible] მაგრამ მუდამ [illegible] ჰეიდელბერგი ერთ უმშვენიერეს ქალაქად ითვლება, თუ დღეს [illegible] სტუდენტი სთვლის თავის [illegible]ად ერთი სემესტრი მაინც გაატაროს გერმანიის უძველესს უნივერსიტეტში, ეს გამოწვეულია აგრეთვე იმითაც, რომ ძველ ისტორიულ ჰეიდელბერგში სცხოვრობს და მოღვაწეობს გამოჩენილი მოხუცი-ფილოსოფოსი პროფესორი კუნო ფიშერი, რომლის წარმტაც ლექციის მოსმენა ახალგაზრდობისათვის დიდ ბედნიერებას შეადგენს. გერმანია კარგად აფასებს თავის [illegible] შესანიშნავ მოღვაწეებს და გასაკვირველიც [illegible] თუ კუნო ფიშერის სახელიც ყოველ[illegible], რომელიც გერმანელისათვის ძვირფასი რამ [illegible]ა. ნახევარ-სოტ[illegible]ია წინამძღოლი და 47

მომავალში. არტელის საწინააღმდეგოდ, ზოგიერთ ადგილობრივ დაწესებულებათა გარდა, ამხედრდნენ ადგილობრივი მოიჯარადრენი და ყოველს საშუალებას ჰხმარობდნენ, ხელი შეეშალათ არტელისათვის. აგვისტოს პირველ რიცხვებში მოხდა პირველი საზოგადო კრება არტელის წევრთა. კრებამ გაიცნო წესდება. წესდებით არტელს აზრადა აქვს ორი უმთავრესი საქმე: 1. სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებსა, მთავრობის სამმართველოებსა და კერძო კაცებთან მოუპოვოს თავის წევრებს ადგილი და თანამდებობა საქონლის მიმღებთა და ჩამბარებელთა, კანტორაში მოხელეთა და სხვა ამგვარ თანამდებობათა; 2- ითავოს საქონლის სადგურებზე ვაგონების დატვირთვა და გადატვირთვა, აგრეთვე მიიღოს შესანახად საქონელი, მიუტანოს მაღაზიაში პატრონს საქონელი და სხვ. არტელს უფლება აქვს შეიძინოს საკუთრებად უძრავ-მოძრავი ქონება. მოქმედება არტელს შეუძლიან მაშინ დაიწყოს, როცა სათადარიგო თანხად 5000 მანეთს მოაგროვებს. არტელს ექმნება სათადარიგო და საწარმოვო თანხები. ყოველმა წევრმა არტელში ჩარიცხვის დროს უნდა შეიტანოს სათადარიგო თანხაში 5 მან., (ეს ფული გამოსვლის დროს უკანვე მიეცემა) და 25 მან.—არტელის მოსაწყობად. საზოგადოების საქმეებს აწარმოებს გამგეობა და მეთვალყურეობს კომიტეტი და სხვ.

საზოგადო კრებაზე გამოირკვა, რომ მოიჯარადრეებს წესდებით სრული ნება აქვთ შევიდნენ წევრებად არტელში. ამის შემდეგ კრებაზევე ბევრმა მოიჯარადრემ განაცხადა სურვილი არტელში ჩაწერისა. არტელის მოქმედების დასაწყისად კანტორის დაქირავება შეუძლებელი გახდა, რადგან არტელში ჩაწერილმა 300 მუშამ უფულობისა გამო ვერ შეაგროვა სათადარიგო თანხა 5000 მანეთამდე, ურომლისოდაც, წესდებით, მოქმედების დაწყება არ შეიძლებოდა. კრებას დახმარება გაუწია არტელის სამმა თანამგრძნობმა: ბესარიონ [illegible], თეიმურაზ კალანდაძემ და არტემ სუფერთელაძემ, რომელთაც დროებით უსარგებლოდ გადასცეს არტელს 5000 მან. კრებამ ამათ მადლობა გადაუხადა და გადასწყვიტა, დაიქირაოს კანტორა და შეუდგეს მოქმედებას. შემდეგ კრებამ აირჩია გამგენი, მეთვალყურე კომიტეტის წევრნი, 12 კაცამდე, და სარევიზიო კომისია.

არტელმა მოქმედება დაიწყო 4 აგვისტოს.

წერილები

სენაკის მაზრა: სოფ. ჭალადიდში ორი ვაჭარი ებრაელი გაქურდეს, რომელნიც ფართალს დაატარებდნენ სოფლიდან სოფლად. ფულად წაართვეს 51 მანეთი და საქონელიც 25-ის თუმნისა. პოლიციამ რამდენიმე კაცი დაიჭირა ამ საქმის გამო და გამოძიებაშია. ნაძარცვი ჯერ არ აღმოუჩენიათ. ჭალადიდშივე, მდინარე რიონში დამღრჩვალი კაცი იპოვეს; ვინ არის—კაცმა არ იცის. ახალ-სენაკ[illegible]ვ. ფარნაოზ მხეიძის შენობაში ცეცხლი გაჩნდა და ოთხი დუქანი დაიწვა. ოთხი ვაჭარი ფართლითა ხუთას თუმნამდე ზარალში ჩავარდნენ.

—

გორისუბანი (რაჭა). გაზაფხულის ხშირის წვიმებისა და ზაფხულის გვალვის გამო ჩვენსკენ ცუდი მოსავალია; აქ თითქმის არც ახალი და არც ძველი მოსავალი არ მოიპოვება. მცხოვრებნი დილიდან საღამომდის დგანან ბუგეულის ხიდთან და უცდიან გასასყიდ სიმინდის მიტანას, მაგრამ სად არის სიმინდი! თუ იქმნა, იმასაც ორიდან სამ მანეთამდის აფასებენ კოდს (4 ბათმანს). სწორედ ამ დროს ბუგეულის მამასახლისი გაცხარებით დადის საზოგადოებაში სახაზინო და სათემო ფულის მოსაგროვებლად. ს. ბუგეულსა და გორისუბანში ამ უკანასკნელ ორ კვირაში ოთხი-ხუთი ქურდობა მოხდა პირუტყვისა და სხვისა, მაგრამ დამნაშავის კვალი ვერ აღმოაჩინეს. **მაიდნელი**

—

მუხურა (იმერეთი). წელს ჩვენი სოფლის ხალხი დიდს გასაჭირშია ჩავარდნილი სარჩოს უქონლობით. წინადაც არ იყო ჩვენი სოფელი განთქმული პურ-ღვინის მოსავლით და ეხლა ხომ სულ უარესი დაემართა. რაც მარშან მოუვიდათ, ის კიდევაც გაათავეს მაისის დამდეგამდე; მას შემდეგ ხალხი სარჩოს ყიდულობს, მაგრამ სიმინდის მეტის-მეტმა სიძვირემ გული გაუტეხა მცხოვრებთ: ფუთი სიმინდი შვიდი, რვა აბაზია. სიძვირის კიდევ არ დაეძებენ, სასყიდელს რომ შოულობდნენ. არის ისეთი მაგალითები, რომ სიმინდის უქონლობისა გამო გლეხები მთელ კვირაობით მარტო ლობიოთი იკვებებიან; ვისაც ლობიო ეძვირება, ის ხილს ეტანება, რის შედეგიც მუცელ-კეთილას გაჩენაა. ნივთიერად დაქვეითებულს, შიმშილით მიქანცულსა და დაბეჩავებულს ხალხს, სხვა ზარალიც ზედ დაერთო: გაჩნდა ღორის ჭირი და სულ მუსრს ადენს. გზები და მინდვრები მოფენილია მკვდარის ღორებით.

გალ.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 აგვისტო

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 17 აგვისტოს: „17 აგვისტოს იაპონელებს, დილის 5 საათიდან დაწყებული საღამოს 9 საათამდე განუწყვეტელი იერიში მოჰქონდათ ჩვენს მოწინავე პოზიციებზე ლიაოიანსაან, ტაიძიხეს მარცხენა ნაპირას. ზარბაზნებისა და თოფების სროლა მეტად ძლიერი და ცხარე იყო. მედგარი იერიში იაპონელებმა მოიტანეს უმთავრესად ჩვენ შუაგულ პოზიციებზე და მარჯვენა ფრთეზე. იაპონელების მრავალი იერიში ყველგან, მთელ ფრონტზე, მოვიგერეთ. პოზიციების ზოგიერთი ადგილები, რომელიც ბრძოლის დროს იაპონელებმა აიღეს, ბრძოლის დასასრულ უკანვე დავიბრუნეთ. საარტილერიო ბრძოლის დროს ჩვენი ბატარეები მაგრა დახვდნენ იაპონელებისას. ნაშუადღევის 4 საათზე ჩვენის ჯარის საზოგადო რეზერვიდან გაგზავნილმა ბატალიონებმა გამოარკვიეს, რომ იაპონელთა კარგა ბლომა ჯარი ჩვენ მარჯვენა ფრთეს უვლიდა. ჩვენის ბატალიონების ნაწილი იაპონელთა ფრთეს მოსავლელად წავიდა. მოსავლელად წამოსული იაპონელთა ჯარი ცხარე ბრძოლის შემდეგ შევაჩერეთ, და იაპონელები იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. ბრძოლა ჩამობნელებისასაც-კი იყო და შესწყდა საღამოს 9 საათზე. ჩვენი ჯარი მხნედ არის. ჯარის ყველა ნაწილს, მოწინავე პოზიციებში მყოფთაც-კი, ეუწყათ ოფიციალური ცნობა 13 აგვისტოს მიღებული, რომ პორტ-არტურის გმირმა მეციხოვნეებმა მოიგერეს იაპონელთა ყველა იერიში. ამ ამბავმა უფრო გაამხნევა ჯარი და უფრო მეტად გაუღვიძა სურვილი, არ ჩამორჩეს პორტ-არტურელ ამხანაგებს. ჩვენი ზარალი ჯერ ცნობაში არ მოგვიყვანია, მაგრამ თვალსაჩინო-კი უნდა იყოს. თუ მხედველობაში მივიღეთ ჰრილობების შესახვევ ადგილებში გაგზავნილთა რიცხვს, საზოგადო ზარალი სამი ათას კაცამდე უნდა იყოს. მტრის ზარალი თვალსაჩინო უნდა იყოს.

17 აგვისტო

სტამბოლი. („ვოლფ. სააგ.“). ოსმალეთი უკვე შეუდგა საჭირო ზომების მიღებას, რადგან საქმის მცოდნე წრეებში შიშობენ, რომ სექტემბერში სომეხთა პროვინციებში დიდი სარევოლუციო მოძრაობა დაიწყებაო. გამოიცა ბრძანება მეოთხე საარმიო კორპუსის მობილიზაციის შესახებ ერძინჯანში.

პეტერბურგის ბირჟა, 17 აგვისტო

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00	
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,97½	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,35	
ლონდონისაზე ჩეკები	94,75	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,50	
ბირჟის დისკონტი	6-7½%	
4% სახელმწიფო რენტა	92¼	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	385½	გაყ
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	298½	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	255	
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	193	

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

საგანგებო კრება

დანიშნულია 22 მარიამობისთვისთვის ამხანაგობის **ახალ ქარხანაში**, ელისაბედის ქ., № 25, დილის 9 საათზე.

განსახილველი საგნები:

1) წინადადება საგანგებოთ არჩეულ კომისიისა მაღაზიაზე და გამგეობაზე ხარჯების შემცირებისა გამო;

2) მოხსენება გამგეობის თავმჯდომარისა გამგეობის წევრთა შორის შრომის განაწილებისა გამო;

3) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეების გაუმჯობესებისა გამო და

4) არჩევანი გამგეობის ახალ წევრთა, თუ საჭიროება მოითხოვს.

(2—ნ.—1) გამგეობის თავმჯდომარე გრ. თოიძე.

ახალი გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრებით

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი **ორი** თაკით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილით და 5—12 ს. საღ. (88—52—46)

სია

ტფილისის ქალაქის სასანიტარო კომისიის მიერ მოწვეულ ექიმებისა, რომელთაც უსასყიდლოდ სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ მცხოვრებთ. ავადმყოფთ შეუძლიანთ მიჰმართონ ერთ-ერთ ქვემოდ ჩამოთვლილ ექიმს, მაგრამ სასურველია მახლობელ ექიმებთან მივიდნენ ხოლმე.

ექიმების გვარები და ადრესები:

ალადაშვილი, ალ. სტ. მიიღებს დილით 7—9 ს., საღამოთი 8—9 ს. ცგზარხოსის მოედანი, სასინოდო კანტორა.

გედევანიანი, ალ. გრ. დილ. 10—11½ ს. (ცენტრ. სამკ.), საღ. 5—7 ს. ბარონის ქ., თამამშევის სახლი, № 16.

გირტცელი, ოტ. [illegible] დილ. 7—9 ს, საღ. 7—9 ს. მიხეილის ქ. მიხეილის საავადმყოფო.

ჯანიბეგოვი, ევ. ნიკ. დილ. 7—9 ს., საღ. 7—9 ს. სოლოლაკი, ამაღლების ქ., № 17.

ელჩიევი, მნაც. რომ. დილ 7—9 ს., საღ. 5—7 ს. მიხეილის ქ., № 111.

ზაბლუდოვსკი, ი. მ. დილ. 10—(ცენტრ. საავად.), საღ. 5—8 ს. სახლში, გრიბოედოვის ქ., № 40.

კასუმოვი, ნ. გ. დილ. 10—11½ ს., (კუკ. საავად.), საღამოთი 5—7 ს. სახლში, ალექსანდრეს ქ., № 36.

მირზაევი, მიხ. ივ. დილ. 7—9 ს., საღ. 7—9 ს. კრასნოგორსკის ვიწრო-ქუჩა, № 8.

საათსაზოვი, ივ. თ. დილ. 8—9 ს., საღ. 4—5 ს. ალექსეევის ქ., № 6.

თათევოსიანი, ტ. მ. დილ. 9—1 ს. (ხარფ. საავ.), საღ. 6—8 ს. სახლში. კრწანისის ქ., თაიროვის სახლი, № 11.

ხატისოვი, ნ. დ. დილის 7—8 ს., საღ. 4—6 ს. სახლში და 10—12 ს. დილით ავლაბრ. საავადმყოფოში. ბებუთოვის ქ., № 27.

შახ-აზიზოვი, არ. ივ. საღ. 10—12 ს., საღ. 7½—8½ ს. ჩუღურეთი. გონჩარნი ქ., № 30.

შჩერბინინა, ა. ი. დილ. 10—1 ს. (დიდუბ. საავ.), საღამოს 4—6 ს. სახლში. ბაქოს ქუჩ., № 7. (5—5)



СѢДЕЛЬН

СПЕЦІЯЛЬН

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдел.

მიხაილოვის პრ., სახლი ა. ყდუ[illegible]ვისა, № 92, საზაფხულო ს. ბრანიის ახლოს. (წ.—176—79)

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წულიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე, უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გაათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მან. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დან 9 საათამდის, კვირა-უქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8-დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანვე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.

(15—258—9) **ალ. გ. საათაშვილი.**

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევს საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქოევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—38)

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად ადამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში სკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) ჭურჭლიანად.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/20 ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დამზადებული (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—38)

ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—სა.